აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №1

03 ივლისი 2015 წელი **ქ. ბათუმი**

უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და საშტატო განრიგით გათვალისწინებულ აპარატის თანამშრომლებზე გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1 უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე და საშტატო განრიგით გათვალისწინებულ აპარატის თანამშრომლებზე გასაცემი დანამატის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს თანახმად დანართისა.

2. დანამტი გაიცეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**